საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 172

2019 წლის 24 მაისი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 23 მაისის NMES 5 19 00620819 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (პროგრამა ,,კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა" (051301) ქვეპროგრამა ,,კულტურის ღონისძიებების ორგანიზება" (05130101)) იტალიის რესპუბლიკაში, საოპერო სპექტაკლ - ჯაკომო პუჩინის ოპერაში „ბოჰემა" ა(ა)იპ - მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის ბავშვთა გუნდის 11 წევრის მონაწილეობის ხარჯების დასაფარავად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, გამოეყოს 14 300 (თოთხმეტი ათას სამასი) ლარი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) უზრუნველყოს მიზნობრივი დაფინანსება.

3. კონტროლი გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვანათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ი. შამილიშვილი).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

თორნიკე რიჟვაძე